სპეციალიზაციის სასერტიფიკატო პროგრამა
„საკორპორაციო და საბანკო სამართალი“

ბაკალავრიატის დამთავრებულ პირს ან დიპლომირებულ იურისტს, ასევე, სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულს, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღრმავოს საკუთარი ცოდნა კერძო სამართლის ისეთ ვიწრო მიმართულებაში, როგორიც არის საკორპორაციო და საბანკო სამართალი. ამ მიზნით იურიდიული ფაკულტეტი მსურველებს სთავაზობს სპეციალიზაციის სასერტიფიკატო პროგრამას საკორპორაციო და საბანკო სამართალში. ამ პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ პირზე გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი (მოწმობა).

კრედიტების საერთო (ჯამური) რაოდენობა შეადგენს 25 სასწავლო კრედიტს.

ლექციებს უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად (პროფ. ბ. ზოიძე, პროფ. ლ. ჭანტურია, ასოც. პროფ. თ. ზამბახიძე, ასოც. პროფ. ი. ბურდული) წაიკითხავენ მოწვეული სპეციალისტები (ბ. ყიფიანი) კორპორაციული მართვის პროექტიდან (კ. კუჭავა LL.M, ბ. ჯანჯალია LL.M).

სასერტიფიკატო პროგრამის მიზანია საკორპორაციო და საბანკო სამართალში გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება. ამ სფეროში უცხოური სამართლის და გამოცდილების გაზიარება სტუდენტთათვის.

კრედიტთა განაწილება და სასწავლო კურსები:

1. შედარებითი საკორპორაციო სამართალი – 30 სთ. 4 კრედიტი (ი. ბურდული)
2. კორპორაციული მართვა

ა) კაპიტალურ საწარმოთა შიდა და გარე მართვის მექანიზმები (თეორია და პრაქტიკა) – 30 სთ. 3-4 კრედიტი (კ. კუჭავა)

ბ) ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სამართლებრივი ასპექტები საკორპორაციო სამართალში – 30 სთ. 3 კრედიტი (ლ. ჭანტურია)

3. საბანკო სამართალი

ა) საბანკო (ორგანიზაციული) სამართალი – 30 სთ. 3 კრედიტი (ბ. ყიფიანი)

ბ) საბანკო მომსახურების სამართალი – 30 სთ. 3 კრედიტი (თ. ზამბახიძე)

4. გაეროს ნასყიდობის კონვენცია – 30 სთ. 3 კრედიტი (ბ. ზოიძე)
5. სააქციო სამართლის თავისებურებანი – 30 სთ. 3 კრედიტი (ლ. ჭანტურია)
6. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალი – 15 სთ. 2 კრედიტი (ბ. ჯანჯალია).

სულ კრედიტთა ჯამი – 25 კრედიტი.
პროგრამაში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 20-25 მონაწილე.
კონკურსის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება უცხო ენის ცოდნას.